Payment Order

თარიღი / Date: 18/10/2011

გამზირის სც #1

რეფერენსი / Ref. Num.

821436440

დამხდელი / Sender

შპს ჩერონი' - 205206882

ადამხდელის ანგარიში/ Sender's Account: GE59TB0575436050100002

ადამხდელის ბანკი / Sender's Bank: ქ.თბილისი, სს თიბისი ბანკის სათაო ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code: TBCBGE22

თანხა / Amount: 103.5 GEL

თანხა სიტყვიერად Amount in words: ას სამი ლარი 50 თეთრი

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

Tax Payment - Information About Tax Payer

დასახელება / Name: შპს ჩერონი'

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code: 205206882

მიმღები / Receiver: სახაზინო ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თბილისი)

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. / Treasury Code: 300773090

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank /Treasury: "სახელმწიფო ხაზინა"

ბანკის კოდი / Bank Code: TRESGE22

შესრულების თარიღი / Operation Date: 18/10/2011

ბანკში შემოსვლის თარიღი /Received: 18/10/2011

გადახდის დანიშნულება / Operation Details: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information: 205206882,დასახლება ჩერონი ,ნაკვეთი N 2

ხელმოწერა Signature

შტამპის ადგილი

ხელმოწერები Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ ბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ემოხსენებულ ხელშეკრულებას; ბანკს ანიჭებს უფლებას ნებისმიერ დროს და ნებისმიერი რაოდენობით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსგან მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცი ლიენტის შესახებ (მათ შორის პერსონალური მონაცემები).

10/18/2011 2:18:02 P

821436440

ნიმო ელისაშვილი

საგადასახადო დავალება # 4

Payment Order

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი
Date 21/12/2011

გადამხდელის სახელი — Sender

შპს 'ჩერონი', 205206882

ანგარიში (დებეტი) Sender's Acc. GE59TB0575436050100002

გადამხდელის ბანკი — Sender's Bank

ქ.თბილისი, სს თიბისი ბანკის სათაო ბანკი

ბანკის კოდი Bank Code TBCBGE22

ივსება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადახდების დროს

გადასახადის გადამხდელის დასახელება

საიდენტიფიკაციო კოდი Sender's Tax Code 205206882

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზ. კოდი

მიმღების დასახელება — Receiver

აღსრულების ეროვნული ბიურო

ანგარიში (კრედიტი) Receiver's Acc. GE41BG0000000222222222

მიმღების ბანკი — Receiver's Bank

სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი Bank Code BAGAGE22

გადახდის დანიშნულება — Operation Details

ჯარიმის საფასური, გადახდის იდენტიფიკატორი 1115217967, A11069987-005/001, შპს 'ჩერონი' 205206882

დამატებითი ინფორმაცია — Additional Information

ხელმოწერა/Signature

თანხა ციფრებით
Amount in figures

2,140.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ორი ათას ასორმოცი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკის შემოსვლის თარიღი

21/12/2011

ხელმოწერა

დასტამპილია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი
TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ 9 4 5 - 11 22 07 2011 წ.

დადგენილება №001042
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

22.07.2011წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2011 წლის 31 მაისის №001042 მითითება და 13 ივნისის №001042 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. "ჩერონი"-ს (მის.: ქ. თბილისი, ტაბახმელა, წავკისი, ნაკვეთი №2) მიმართ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.ა." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ტაბახმელა, წავკისი, ნაკვეთ №2-ში შ.პ.ს. "ჩერონი"-ს მიერ განხორციელდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ №01/790 27.06.2008წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. კერძოდ, -2.80 ნიშნულზე გაზრდილია სარდაფის ფართი, დაახლოებით 45მ²-ით, ფასადებზე შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების ნახატები.

სამსახურის სპეციალისტის მიერ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2011 წლის 31 მაისს შედგენილი იქნა მითითება №001042 (მხარეს ჩაბარდა 2011 წლის 2 ივნისს), რომლითაც განესაზღვრა 10 (ათი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2011 წლის 13 ივნისს "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001042 (მხარეს ჩაბარდა 2011 წლის 21 ივნისს), რომელშიც დაფიქსირდა შ.პ.ს. "ჩერონი"-ს მიერ მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2011 წლის 4 ივლისს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა შ.პ.ს. "ჩერონი"-ს წარმომადგენელი.

ობიექტი გადამოწმებულ იქნა სამსახურის მთ. სპეციალისტის ი. მაზიაშვილის მიერ, რომელმაც დააფიქსირა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

საქმეშია, შ.პ.ს. "ჩერონი"-ს დირექტორის ვასილ ჯანჯღავას №12/92340-16 20.07.2011წ. განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით მხარის დასწრების გარეშე საკითხის განხილვა. ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №08-16/6474 22.06.2011წ. წერილი, რომლითაც მოცემული მშენებლობა მიეკუთვნება II კლასს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "ჩერონი"-ს მიერ ჩადენილია "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-მუხლის "ა" პუნქტის "ა.ა." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ტაბახმელა, წავკისი, ნაკვეთ №2-ში შ.პ.ს. "ჩერონი"-ს მიერ განხორციელდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ №01/790 27.06.2008წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. კერძოდ, -2.80 ნიშნულზე გაზრდილია სარდაფის ფართი, დაახლოებით 45მ^2-ით, ფასადებზე შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების ნახატები.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის 14-ე პუნქტით, მე-13 მუხლის 17 პუნქტით, მე-13 მუხლის 18-ე პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23 მუხლის "ა" პუნქტის "ა.ა." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ჩერონი" დაჯარიმდეს 2.000 (ორიათასი) ლარით პროექტის დარღვევით II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ჩერონი"-ს დაევალოს, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22**, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ჩერონი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის

ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი ზ. კერვალიშვილი